(სსმ 28.02.2008 N 31 მუხ. 335)

რეგისტრირებულია
საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
140.040.000.22.034.011.549

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება N 251
2008 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის შესახებ

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის N139 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის «ა» და «ნ» ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა

კრიმინალური პოლიციის ემბლემა

პლანშეტი 1

კრიმინალური პოლიციის ემბლემა – ვერცხლისფერი რვაქიმიანი სხივებიანი ვარსკვლავზე მდებარეობს ოქროს მრგვალი მედალიონი. კომპოზიციის ცენტრში მედალიონის სევადის (შავი) ფერის ველზე, ოქროს რვაქიმიანი ვარსკვლავის ფონზე, ცენტრში, გამოსახულ ჰერალდიკურ ფარზე, მეწამულ ველზე ამოტვიფრულია ოქროს შემართული ლომი (შსს ემბლემა); მედალიონის გარშემო სევადის (შავი) ფერის ველზე ოქროს ფერი ასოებით ამოტვიფრულია წარწერა - “ კრიმინალური პოლიცია” და ჰერალდიკური ჯვარი.

ზამთრის ყოველდღიური ფორმა

საზაფხულო ყოველდღიური ფორმა

პლანშეტი 2

1. ყოველდღიური ზამთრის ფორმა –შავი ფერის შარვალი. შავი ფერის დათბუნებული ქურთუკი; შავი ფეხსაცმელი (ან მაღალყელიანი დათბუნებული ფეხსაცმელი).

2. ყოველდღიური ზაფხულის ფორმა –შავი ფერის შარვალი. მუქი წითელი (შინდისფერი) ფერის მაისური; შავი ფეხსაცმელი.

ზამთრის ყოველდღიური ფორმა

საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა

პლანშეტი 3

1. ყოველდღიური ზამთრის ფორმა –შავი ფერის შარვალი. მუქი წითელი (შინდისფერი) სვიტერი; შავი ფეხსაცმელი (ან მაღალყელიანი დათბუნებული ფეხსაცმელი).

2. საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა –შავი ფერის შარვალი. მუქი წითელი (შინდისფერი) სვიტერი; შავი ფერის ჟილეტი; შავი ფეხსაცმელი.

სამკლაური ემბლემა

პლანშეტი 4

სამკლაური ემბლემა – შავი ფერის სტილიზებულ ჰერალდიკურ ფარზე შავი ფერის ველზე გამოსახულია კრიმინალური პოლიციის ემბლემა და ინგლისური წარწერა - `”GEORGIA CRIMINAL POLICE”

ჟეტონი

პლანშეტი 5

ჟეტონი – კრიმინალური პოლიციის ემბლემის მეტალი ვერსია, სევადის (შავი) ფერის მინანქრის მაგივრად გამოყენებულია რელიეფური ზედაპირი, სხვა ჰერალდიკური ფერები ორიგინალურ ფერში.

პლანშეტი 6

ქურთუკის კონტურული ნახაზი: სამკერედე წარწერა ქართულ ენაზე - კრიმინალური პოლიცია და წარწერა ქურთუკის უკანა მხარეს ინგლისურ ენაზე – ”CRIMINAL POLICE”;